



საქართველოს შთავრვის განკარგულვა

N 702 2014 წლის 16 აპრილი ქ. თბილისი

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ
განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა სსიპ -
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა უზრუნველყოს:

ა) სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფლების - ბოდბისა და ბოდბისხევის
დამაკავშირებელი გზის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის საჭირო
დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის
მოსამზადებლად საჭირო მომსახურების შესყიდვა;

ბ) ამ განკარგულების „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული
ღონისძიებების დაფინანსება „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო
ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს
მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის დამტკიცებული „საქართველოს
მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი
პროექტები“ ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი - 25 03 01) განსაზღვრული
ასიგნებებიდან;

გ) სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის
ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით,
„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3
პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების „ა“ ქვეპუნქტით

გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი ი.



ირაკლი ლარიბაშვილი

